მემკვიდრეობა

ნინო მაისურაძე •

აკაკი ჩხენკელი ერის ცნებისა და ეროვნული საკითხის შესახებ

აბსტრაქტი

აკაკი ჩხენკელის ფიგურა გამორჩეულია ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის და ამის ერთ-ერთი მიზეზი არის მისი დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი, რომელიც განსხვავებული იყო სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატების შეხედულებებისგან. კვლევა თვისებრივია, მეორადი წყაროების ანალიზის და მათი ინტერპრეტაციის მეთოდით გავაანალიზებ აკაკი ჩხენკელის დამოკიდებულებას ეროვნული საკითხისადმი და მისი თეორიის მნიშვნელობას XX საუკუნის პირველ ორ ათწლეულში ქართველი ერის თანამედროვე სახით პოლიტიკურ ერად ფორმირების პროცესში. აკაკი ჩხენკელი პოლიტიკურ ასპარეზზე XIX საუკუნის ბოლოს გამოდის და მოღვაწეობის განმავლობაში ყურადღებას ამახვილებდა ისეთ საკითხებზე, როგორებიც არის: ერის და სახელმწიფოს ურთიერთმიმართება, ერის და კაცობრიობის მიმართება, ერის მნიშვნელობა და მახასიათებლები.

საკვანძო სიტყვები: აკაკი ჩხენკელი, ერის ცნება, ნაციონალიზმი.

შესავალი

სოციალ-დემოკრატების ეროვნულ პოზიციაზე საუბარი რთული საკითხია, რადგან მათი პოზიცია არ იყო ერთგვაროვანი პარტიის შიგნით და არც დროის განსხვავებულ პერიოდში, მაგრამ

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი.

თუ პარტიის დეკლარაციაში გაცხადებულ პოზიციას მივყვებით ის ასე ფორმირდება: საჭიროა იმ დაწესებულებების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს თითოეული ერის თავისუფლად განვითარებას. ამ ზოგად დამოკიდებულებას არ იზიარებდა აკაკი ჩხენკელი და ამ პოზიციის გამზიარებლებს იმ ფლანგს უწოდებს, რომლებმაც თავი ვერ დააღწიეს პირველყოფილ კოსმოპოლიტიზმს.

1915 წელს აკაკი ჩხენკელმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ერი და ჩვენ“, რომელშიც ავტორი აყალიბებს მოსაზრებას, რომ სოციალიზმის პრინციპები უნდა შეეფარდოს ეროვნულ პრინციპებს და არ უნდა იყოს ეროვნული საკითხი იგნორირებული. გამოქვეყნებულ ნაშრომში ნათლად იკვეთებოდა აკაკი ჩხენკელის მიერ კოსმოპოლიტიზმის კრიტიკა, მისი შეხედულებით თანამედროვე ინტერნაციონალიზმი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე კოსმოპოლიტიზმი, რადგან ამ უკანასკნელისთვის ერის ცნებას მნიშვნელობა არ ჰქონდა. კრიტიკის მთავარი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ კოსმოპოლიტიზმი ადგილს არ ტოვებდა ერისთვის და ამიტომ აკაკი ჩხენკელი უპირატესობას ანიჭებდა ინტერნაციონალის ცნებას. აკაკი ჩხენკელის დასკვნით, თანამედროვე ინტერნაციონალიზმი პირდაპირ ავალებდა სოციალ-დემოკრატიას ეროვნული პოლიტიკის წარმოებას. აკაკი ჩხენკელი მიიჩნევდა, რომ კაცობრიობის განვითარების ბუნებრივი პერსპექტივაა ერთი ერი ერთ სახელმწიფოში (გერგედავა-ჭელიძე, 2002). ეს მოსაზრება მეტად საყურადღებოა, რადგან ხაზს უსვამს იმას, რომ 1915 წლისთვის, როდესაც ეს ნაშრომი გამოიცა, აკაკი ჩხენკელისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტერიტორიულ პრინციპს და ეს მაშინ, როდესაც საქართველოშიც ცნობილი და პოპულარული იყო ე.წ. პიროვნული პრინციპი[1].

[1] რაშიც იგულისხმება ის, რომ ერი არ არის მიჯაჭვული ტერიტორიაზე და მთავარია ერის წევრებს შორის ურთიერთობა, რადგან ადამიანი სოციალური არსებაა და სწორედ ეს ურთიერთობა და კავშირი არის გადამწყვეტი ერის ფორმირებისთვის.

აკაკი ჩხენკელის მიერ შემუშავებული ეროვნული თეორია

აკაკი ჩხენკელი ერის თვითცნობიერების ფენომენის ასახსნელად იყენებს რენე დეკარტის ცნობილ გამოთქმას "Cogito, ergo sum"[2], რაშიც იგულისხმება, რომ როდესაც ერის შემადგენელი წევრები გრძნობენ საკუთარ ერთობას და ამ შეგრძნებას აანალიზებენ აზროვნებაში, მაშინ ეს ერი არის ერი ამ ფენომენის სრული მნიშვნელობით. გარდა ამისა, აკაკი ჩხენკელი ხაზს უსვამს ერის ფორმირებაში ისტორიის მნიშვნელობას, მაგრამ მისთვის ეს არ არის საკმარისი საფუძველი და ამატებს, რომ საჭიროა დამატებითი ნიადაგის მომზადება ერის ფორმირებისთვის და ეს დამატებითი ნიადაგი არის ახალი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, რაშიც ნათლად იგულისხმება ფეოდალური პერიოდიდან ინდუსტრიულზე გადასვლა. როგორც ვხედავთ აკაკი ჩხენკელისთვის ერი არის ისტორიული ფენომენი, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ ის უძველეს დროშია შექმნილი. აკაკი ჩხენკელი პირდაპირ უკავშირებს ერის შექმნას კაპიტალიზმის პერიოდში გადასვლას და შესაბამისად, აქ იგულისხმება საქალაქო ცხოვრების განვითარებას და შრომის დანაწილების ახალ წესზე გადასვლაც.

აკაკი ჩხენკელი ეხება იმ საკითხსაც, რაც ძალიან პოპულარული იყო საქართველოში და რაც ეხებოდა ერის და სახელმწიფოს ურთიერთმიმართებას. აკაკი ჩხენკელის მოსაზრებით, საერთოსთან ერთად ბევრია ამ ორ ორგანიზაციას შორის წინააღმდეგობაც, რადგან პირველი ადამიანების თავისუფალი კავშირია, როდესაც მეორე ძალდატანებითი კავშირია. ავტორის დასკვნით, ორივე ფენომენი ისტორიულია, მაგრამ სახელმწიფო უფრო დიდი ხნის არის, ვიდრე ერი. ერის და სახელმწიფოს ურთიერთმიმართებაზე საუბრისას აკაკი ჩხენკელი მიიჩნევს, რომ ტერმინი ნაციონალური სახელმწიფო თავად გულისხმობს იმას, რომ ნაცია უნდა გახდეს სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ელემენტი, უფრო კონკრეტულად, ხალხის ადგილი უნდა დაიკავოს ერმა. ამ მსჯელობიდან გა-

[2] რაც ითარგმნება, როგორც ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ.

მომდინარე მნიშვნელოვან დასკვნამდე მიდის ავტორი, რომ ადრე თუ ხალხი არსებობდა სახელმწიფოსთვის, ახლა დროა სახელმწიფო არსებობდეს ერისთვის, ანუ შინაარსმა უნდა დაძლიოს ფორმა (ჩხენკელი, (ა), 2000). მიუხედავად იმისა, რომ აკაკი ჩხენკელი სახელმწიფოს უფრო ძველ ფენომენად მიიჩნევს, ვიდრე ერს, მაინც აღნიშნავს, რომ ერი სახელმწიფოს ფუნდამენტური მახასიათებელი უნდა გახდეს და უფრო მეტიც, სახელმწიფო უნდა არსებობდეს ერისთვის, რადგან ერი არის სახელმწიფოს შინაარსი.

აკაკი ჩხენკელი და ტერიტორიული პრინციპი

ერთი დეტალი, რაზეც მსურს ყურადღების გამახვილება ტერიტორიის პრინციპის უკუგდებაა სოციალ-დემოკრატების ნაწილის მიერ ავსტრო-მარქსისტული ერის თეორის გავლენით. აკაკი ჩხენკელი საუბრობს ტერიტორიულ პრინციპზე და ამბობს, რომ ინდუსტრიალიზაციის პარალელურად სიმძიმის ცენტრი გადმოვიდა ქალაქში, მაგრამ მიუხედავად ამისა სოფელში იქნება ცენტრი თუ ქალაქში, მაინც ერთ ტერიტორიაზე ვითარდება ეს პროცესები. მისი მოსაზრებით, ტერიტორიული პრინციპის უარყოფა მარტივი არ არის რეალობაში. აკაკი ჩხენკელის შეხედულებით, თუ ერს აქვს საკუთარი ტერიტორია ასეთ ერს უნდა მიენიჭოს ტერიტორიული თვითმმართველობა და ამის მაგალითია პოლონეთი, მაგრამ თუ ერს არ აქვს საკუთარი ტერიტორია მახ მხოლოდ კულტურული-ეროვნული თვითმმართველობა უნდა მიენიჭოს მაგალითად, ებრაელები (ჩხენკელი, (ა), 2000). აკაკი ჩხენკელი ტერიტორიული პრინციპის აუცილებლობაზე საუბრისას ამატებს, რომ ერის წევრების ერთად ცხოვრება ერის წარმოშობის პირობაა და ერთად ცხოვრება მხოლოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზეა შესაძლებელი, ანუ მისი მსჯელობიდან გამოდის, რომ ტერიტორია აუცილებელი პირობაა ერის ფორმირებისთვის.

ამ შეხედულებამ აკაკი ჩხენკელი მიიყვანა საქართველოსთვის ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნამდე, რადგან ქართველ ერს ჰქონდა მთლიანი ტერიტორია და კულტრულ-ეროვნული თვით-

მმართველობა მისთვის არ იქნებოდა საკმარისი და არც ამიერკავკასიის საოლქო ავტონომია.

„ერი თუ კაცობრიობა?!“ (1912 წელი)

აკაკი ჩხენკელმა გააკრიტიკა მიხაკო წერეთლის ნაშრომი „ერი და კაცობრიობა“ (1910 წ.) საკუთარ 1912 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ერი თუ კაცობრიობა?!“. აკაკი ჩხენკელი მიიჩნევდა, რომ ერის და კაცობრიობის არსებობა ერთდროულად შესაძლებელია და მიხაკო წერეთლის კატეგორიული მსჯელობა, რომ ამ ორს შორის აუცილებელია არჩევანის გაკეთება მისთვის მიუღებელია. აკაკი ჩხენკელის მოსაზრებით, ერები ერთმანეთთან კომუნიკაციის და მჭიდრო ურთიერთობების გარეშე ვერ იარსებებენ და ამით ისინი ერთ ორგანიზმად ერთიანდებიან, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი დეტალი არის ის, რომ თითოეული ერი მაინც არ კარგავს ინდივიდუალობას. საყურადღებოა, რომ აკაკი ჩხენკელი სწორედ ინდივიდუალიზმზე ამახვილებს ყურადღებას და იმ დროისთვის პოპულარულ საერთო საკაცობრიო იდეის პარალელურად ხაზს უსვამს, რომ ამ მხრივ განვითარება არ გულისხმობს ჰომოგენურობას, ყოველი ერი ინარჩუნებს ინდივიდუალიზმს, მაგრამ შედის მჭიდრო ურთიერთობაში სხვა ერებთან.

მიხაკო წერეთლის ერის თეორიის კრიტიკის პარალელურად აკაკი ჩხენკელი აყალიბებს ერის საკუთარ დეფინიციას, რომ ერში გამოხატულია ფსიქოლოგიური ასპექტი, ანუ ერის წევრები გრძნობენ ინსტიქტურად ერის არსებობას, როგორც ხელშეუხებელი ინდივიდუალობისას (ჩხენკელი, (ბ), 2000). ამ განმარტებიდან ნათელია, რომ აკაკი ჩხენკელი ერის ნიშნად ფსიქოლოგიურ კავშირს გამოყოფს, თუმცა მიიჩნევს თუ არა ის ამ ნიშანს მთავარ მაფორმირებელ მარკერად უცნობია.

მიხაკო წერეთლის აზრს კაცობრიობის ფიქციურობის თაობაზე, აკაკი ჩხენკელი უარყოფს, რადგან ევროპის მაგალითზე ის ნათლად ხედავს, რომ ევროპის თანამედროვე ცხოვრების სტილი მოიცავს კლასების იმ სოციალურ დამოკიდებულებას, რომელიც

სცდება ევროპის შიგნით მცხოვრები ერების საზღვრებს. უფრო ნათლად, რომ განვმარტოთ, ამ დებულებით აკაკი ჩხენკელი მიუთითებს იმ სოლიდარობაზე, რომელიც ქონდათ ევროპელ ერებს ერთმანეთის მიმართ. სწორედ ამ ტენდენციას უწოდებს აკაკი ჩხენკელი იმას, რაც ერების ერთიანობისკენ მიდრეკილებას აჩვენებს, ანუ საერთო საკაცობრიო ერთიანობისაკენ. აკაკი ჩხენკელი აყალიბებს ჰიპოთეზას, რომ კაპიტალისტურ ხანაში ევროპა ერთ სოციალურ ორგანიზმად ჩამოყალიბდება. მინდა ავღნიშნო ერთი დეტალიც მისი ბიოგრაფიიდან: 1904-1908 წლებში აკაკი ჩხენკელი ემიგრაციაში იყო, ამ პერიოდში ის ჩამოყალიბდა პროდასავლური პოლიტიკის დამცველად.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზმს, რომელ ცნებასაც ანიჭებს უპირატესობას აკაკი ჩხენკელი, მისი მოსაზრებით, ინტერნაციონალიზმი კოსმოპოლიტიზმის განვითარება უფრო არის, ვიდრე მისი უარყოფა. კოსმოპოლიტიზმი უყურადღებოდ ტოვებდა ერის ცნებას და მხოლოდ ადამიანზე და კაცობრიობაზე ფოკუსირდებოდა, მაგრამ მოგვიანებით საფრანგეთის რევოლუციამ წამოაყენა ერი, როგორც შეუცვლელი პრინციპი. აქედან გამომდინარეობს აკაკი ჩხენკელის დასკვნა, რომ კაცობრიობის განვითარება არ გაანადგურებს ერებს და არც კოსმოპოლიტიზმი შეამცირებს ნაციონალიზმის გავლენას (ჩხენკელი, (ბ), 2000).

მიხაკო წერეთლის ერის თეორიის კრიტიკის პარალელურად, თავად აკაკი ჩხენკელის შეხედულება ერის და ეროვნული საკითხის შესახებ რამდენიმე ასპექტით ხასიათდება: საზოგადოებისგან წარმოიქმნება ერი დროთა განმავლობაში, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ თითქოს ამ ორ ცნებას სინონიმური მნიშვნელობით იყენებს ავტორი. მისი მოსაზრებით, ის მასალა, რომლისგანაც ერი იქმნება არის ხალხი; აკაკი ჩხენკელისთვის ერი ისტორიული კატეგორიაა, რომელიც ფეოდალიზმის ინდუსტრიალიზაციით შეცვლის პერიოდში წარმოიშვა; საბოლოოდ ერის დამახასიათებელ რამდენიმე ნიშანს გამოყოფდა ავტორი: ფსიქოლოგიას, ენას, კულტურას, სარწმუნოებას და წარმოშობას.

დასკვნა

აკაკი ჩხენკელის შეხედულებები ერის შესახებ მის თანამედროვეობაში სიახლე იყო ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის, რადგან ეს არ იყო ცალმხრივად მხოლოდ კლასობრივი უთანასწორობის პრობლემაზე ფოკუსირება. ის მიიჩნევდა, რომ ამ მნიშვნელოვანი პრობლემის პარალელურად უნდა განხილულიყო ეროვნული საკითხი და ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაც უფრო აქტიურ ფაზაში უნდა გადასულიყო. აკაკი ჩხენკელის ეროვნული თეორია ნათლად აღიარებდა ტერიტორიული ავტონომიის უფლებას საქართველოსთვის, რადგან ქართველი ერის წინაშე არსებული პრობლემები, მისი მოსაზრებით, ვერ გადაწყდებოდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიით და ვერც ამიერკავკასიის ავტონომიის მოთხოვნით. აკაკი ჩხენკელის ეროვნული შეხედულება სტატიკური არ იყო, თავდაპირველად ის ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობის დაარსებას უჭერდა მხარს და პარალელურად საქართველოს კულტურულ ავტონომიას, მაგრამ მოგვიანებით ის ტერიტორიული ავტონომიის მომხრე გახდა (ახობაძე, 1965). შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ XX საუკუნის ათიან წლებში გამოქვეყნებულმა მისმა ნაშრომებმა დიდი გავლენა მოახდინა მთლიანად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული პროგრამის განვითარებაზე, რის შედეგადაც ეროვნულ საკითხს მეტი ყურადღება დაეთმო.

აკაკი ჩხენკელის შეხედულებების მნიშვნელობაზე საუბრობდა არჩილ ჯორჯაძე ჯერ კიდევ 1909 წელს. არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავდა, რომ სწორედ აკაკი ჩხენკელმა შეცვალა სოციალ-დემოკრატების ეროვნული პროგრამა, რადგან მან შეუძლებლად მიიჩნია ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობის დაარსება და წამოაყენა საქართველოს კულტურული ავტონომიის აუცილებლობის საკითხი (გერგედავა-ჭელიძე, 2002).

გამოყენებული ლიტერატურა

ახობაძე, ე. (1965). *ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900-1917 წწ.).* თბილისი: "მეცნიერება".

გერგედავა-ჭელიძე, ზ. (2002). *აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური მოღვაწეობა (1898-1918).* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტი.

ჩხენკელი, ა. (ა) (2000). *ერი და ჩვენ.* თბილისი: "მერიდიანი".

ჩხენკელი, ა. (ბ) (2000). *ერი თუ კაცობრიობა?! .* თბილისი: "მერიდიანი".

Nino Maisuradze

The Concept of Nation and the National Question according to Akaki Chkhenkeli

Abstract

One of the reasons why the figure of Akaki Chkhenkeli stands out among Georgian Social Democrats is his stance on the national question, which differs from the opinions of other Georgian Social Democrats. In this qualitative research, I aim to examine Akaki Chkhenkeli's approach to the national question and the importance of his theory in the process of forming the modern Georgian nation into a political nation during the beginning of the twentieth century. To do this, I will use the method of secondary source analysis and interpretation. Akaki Chkhenkeli entered the political arena in the late nineteenth century, dedicating his efforts to addressing various issues, including the interplay between the nation-state and its relationship with mankind, as well as the essence and defining characteristics of a nation.

Keywords: Akaki Chkhenkeli, the concept of nation, nationalism.